

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
---	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	15
5. ამონაგები	19
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	20
7. სხვა შემოსავალი	20
8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10. ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში	21
11. ფინანსური ხარჯი, წმინდა	21
12. ძირითადი საშუალებები	22
13. იჯარა	23
14. მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	24
15. მარაგები	24
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
19. მიღებული სესხები	27
20. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	27
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
22. პირობითი ვალდებულებები	29
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს ალტას მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ალტას (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასეების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი 2023 წელი

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	388,878	381,402
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(328,091)	(315,017)
საერთო მოგება		60,787	66,385
სხვა შემოსავალი	7	165	2,275
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	8	(34,014)	(27,793)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(12,293)	(11,624)
ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში	10	-	(1,321)
საოპერაციო მოგება		14,645	27,922
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	11	2,711	(376)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა		1,302	2,137
მოგება დაბეგვრამდე		18,658	29,683
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,426)	(1,337)
მთლიანი სრული შემოსავალი		17,232	28,346
მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვლებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		17,225	27,826
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		7	520
მთლიანი სრული შემოსავალი		17,232	28,346

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კ. ჭოველიძე

ფინანსური დირექტორი

ლ. დევდარიანი

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	388,878	381,402
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(328,091)	(315,017)
საერთო მოგება		60,787	66,385
სხვა შემოსავალი	7	165	2,275
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	8	(34,014)	(27,793)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(12,293)	(11,624)
ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში	10	-	(1,321)
საოპერაციო მოგება		14,645	27,922
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	11	2,711	(376)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		1,302	2,137
მოგება დაბეგვრამდე		18,658	29,683
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,426)	(1,337)
მთლიანი სრული შემოსავალი		17,232	28,346
მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვლელზე:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		17,225	27,826
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		7	520
მთლიანი სრული შემოსავალი		17,232	28,346

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



კ. ჯოველიძე

ფინანსური დირექტორი



ლ. დედვარიანი

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	8,085	7,078
აქტივების გამოყენების უფლება	13	26,530	21,295
არამატერიალური აქტივები		149	183
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	14	-	751
		34,764	29,307
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	80,169	75,774
საგადასახადო აქტივი	19	20	52
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	14,859	12,322
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან		38	217
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	12,937	39,859
		108,023	128,224
სულ აქტივები		142,787	157,531
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		20	20
გაუნაწილებელი მოგება		58,626	58,307
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიებელი კაპიტალი		58,646	58,327
არამაკონტროლებელი წილი		(560)	(567)
სულ კაპიტალი		58,086	57,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	13	19,356	17,058
		19,356	17,058
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	53,474	68,443
მიღებული სესხები	19	863	901
საიჯარო ვალდებულებები	14	7,685	8,489
საგადასახადო ვალდებულებები	20	1,259	3,167
საგარანტიო ვალდებულებები	10	2,064	1,713
		65,345	82,713
სულ ვალდებულებები		84,701	99,771
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		142,787	157,531

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	მფლობელებზე მისაკუთვნიებული				
	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	მფლობელთა კაპიტალი, სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31.12.2020	20	42,779	42,799	(1,087)	41,712
მთლიანი სრული მოგება	-	27,826	27,826	520	28,346
გამოცხადებული დივიდენდი	-	(12,298)	(12,298)	-	(12,298)
31.12.2021	20	58,307	58,327	(567)	57,760
მთლიანი სრული მოგება	-	17,225	17,225	7	17,232
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს შემოსვლა (შენიშვნა 2)	-	(456)	(456)	-	(456)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(16,450)	(16,450)	-	(16,450)
31.12.2022	20	58,626	58,646	(560)	58,086

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		459,105	478,895
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(377,953)	(358,487)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(15,592)	(13,682)
გადახდილი გადასახადები		(62,290)	(62,191)
მიღებული საპროცენტო შემოსავლები		491	711
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,761	45,246
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,426)	(1,337)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		2,335	43,909
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,641)	(2,710)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		(550)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		181	2,351
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(4,010)	(359)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	19	37,775	4,485
მიღებული სესხების ძირის გადახდა	19	(35,868)	(12,859)
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა	19	(677)	(131)
გადახდილი გარანტიის პროცენტი		(308)	(263)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტების გადახდა	13	(1,403)	(1,774)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	13	(8,175)	(6,685)
გადახდილი დივიდენდები		(16,450)	(12,298)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(25,106)	(29,525)
წმინდა ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(26,781)	14,025
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	39,859	26,031
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(141)	(197)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	12,937	39,859

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალტა (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 211380691) დაფუძნდა 1998 წელს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საყოფაცხოვრებო ელექტრონიკით საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., №104, ფართი №12.

ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი პირი, ხოლო კაპიტალის წილობრივი ფლობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
შპს დაგეტა კაპიტალი	47.50%	47.50%
თეა კაკაბაძე	29.06%	29.36%
ნანა კასრელიშვილი	7.39%	7.39%
ლევან ნიკოლაიშვილი	5.35%	5.35%
სხვა	10.71%	10.41%
	100%	100%

კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმოები (ერთად მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

კომპანიის დასახელება	მთავარი საქმიანობა	დაარსების / კონტროლის მოპოვების წელი	31.12.2022	31.12.2021
შპს ალტა რითელი (ს.კ. 402033312)	სამომხმარებლო ელექტრონიკით საცალო ვაჭრობა	2016	100%	100%
შპს მეტრომარტ (ს.კ.401975662)	სამომხმარებლო ელექტრონიკით საცალო ვაჭრობა	2018	50%	50%
შპს ტექპოინტი (ს.კ.402085104)	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	2018	100%	100%
შპს ალტა ტექნოლოჯის (ს.კ.402091703)	სამომხმარებლო ელექტრონიკით საცალო ვაჭრობა	2018	100%	100%
შპს სერვის პლაზა * (ს.კ. 401983430)	ტექნიკის შეკეთების მომსახურება	2022	100%	-

(*) - 2022 წელს შპს ალტამ შეისყიდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო შპს სერვის პლაზას 100% წილი. შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივები შეძენის მომენტისთვის შეადგენდა 94 ათას ლარს. ინვესტიციის ღირებულება შეადგენდა 550 ათას ლარს. ჯგუფმა აღნიშნული შეძენა განიხილა, როგორც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება და შემოსვლა აღრიცხა საბალანსო ღირებულებით, რადგან ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ ჯგუფს აძლევს საშუალებას ასეთ დროს თავად შეარჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ჯგუფმა სხვაობა შპს სერვის პლაზას წმინდა აქტივებსა და გადახდილ შეძენის ღირებულებას შორის აღირიცხა, როგორც კაპიტალის ოპერაცია, შპს სერვის პლაზას აქტივები და ვალდებულებები შემოსვლის დღეს აღირიცხა მათი საბალანსო ღირებულებებით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს საქართველოში აქვს მაღაზიათა ქსელი, 20 და 18 მაღაზიის ოდენობით შესაბამისად.

შპს ალტას დირექტორია ბატონი კახა ჭოველიძე.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ჯგუფი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

ჯგუფის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ჯგუფის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

ა) 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს აღნიშნული აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და მოხდა ძალაში შესვლის თარიღის გადავადება.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.5-ს დამატება კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამოიყენებოდა მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამოიყენებოდა მოეთხოვება მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მანამ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს - იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს - ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. ჯგუფმა გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება - ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარეცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგარანტიო ანარიცხები - ჯგუფი საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. ჯგუფი საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში დასაკმაყოფილებელი მოვალეობის შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის. შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ფაქტიური საგარანტიო ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ანარიცხის შეფასებული თანხისგან. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის საგარანტიო ანარიცხი გაანგარიშდება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ექსპორტზე გატანილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, 0.6%-ის ოდენობით (31.12.2021: 0.5%). ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე ექსპორტზე გატანილ საქონელზე ჯგუფს არ წარმოექმნება საგარანტიო მომსახურების გაწევის არც იურიდიული და არც კონსტრუქციული ვალდებულება. ჯგუფი რეალიზებულ საქონელზე გარანტიას გასცემს რეალიზაციის შემდეგ 2 წლის პერიოდზე, რასთან დაკავშირებითაც აღიარებული აქვს საგარანტიო ანარიცხი. გაყიდული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს საქარხნო 2 წლიანი გარანტია. მომწოდებლების მიმართ საგარანტიო მოთხოვნა წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები და მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,937	39,859
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,523	9,259
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	38	968
	22,498	50,086
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	43,634	53,785
მიღებული სესხები	863	901
საიჯარო ვალდებულებები	27,041	25,547
	71,538	80,233

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

ჯგუფი ახდენს კაპიტალის მონიტორინგს კოეფიციენტით - აღებული ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან. აღებული ვალდებულებები გამოითვლება მიღებული სესხების ფულისა და ფულის ეკვივალენტებით შემცირებით.

	31.12.2022	31.12.2021
მიღებული სესხები	863	901
საიჯარო ვალდებულებები	27,041	25,547
შემცირებული: ფული და ფულის ეკვივალენტებით	(12,458)	(39,641)
წმინდა ვალდებულებები	15,445	(13,193)
მთლიანი კორექტირებული კაპიტალი	58,646	58,327
წმინდა ვალდებულებები/მთლიანი კორექტირებული კაპიტალი	26%	(23%)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფს საბაზრო რისკი წარმოეშება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (**საპროცენტო რისკი**) და ვალუტის კურსის (**სავალუტო რისკი**) ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციონალური ვალუტისა. ჯგუფი წლის განმავლობაში იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის - როდესაც ჯგუფის რისკი ითვლება მნიშვნელოვნად, ჯგუფი შედის აშშ დოლარი/ლარის სპოტ კონტრაქტში ფინანსურ ინსტიტუტებთან.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს ღია ფორვარდული კონტრაქტები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,396	188	353	12,937
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,623	3,882	18	9,523
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	-	38	-	38
	18,019	4,108	371	22,460
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,296	22,503	10,835	43,634
მიღებული სესხები	863	-	-	863
საიჯარო ვალდებულებები	950	25,622	469	27,041
	12,109	48,125	11,304	71,538
ღია სავალუტო პოზიცია	5,910	(44,017)	(10,933)	

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2021
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,614	17,192	53	39,859
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,027	3,003	229	9,259
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	-	968	-	968
	28,641	21,163	282	50,086
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,160	34,525	6,100	53,785
მიღებული სესხები	901	-	-	901
საიჯარო ვალდებულებები	297	24,556	694	25,547
	14,358	59,081	6,794	80,233
ღია სავალუტო პოზიცია	14,283	(37,918)	(6,512)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2022	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	+20%	-20%	+20%	-20%
მოგება/(ზარალი)	(8,803)	8,803	(2,187)	2,187
31.12.2021	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	+20%	-20%	+20%	-20%
მოგება/(ზარალი)	(7,584)	7,584	(1,302)	1,302

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	12,459	39,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,523	9,259
მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან	38	968
	22,020	49,868

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	43,634	-	-	43,634
საიჯარო ვალდებულებები	8,495	20,693	953	30,141
მიღებული სესხები	955	-	-	955
	53,084	20,693	953	74,730
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	53,785	-	-	53,785
საიჯარო ვალდებულებები	10,172	20,792	-	30,964
მიღებული სესხები	993	-	-	993
	64,950	20,792	-	85,742

5. ამონაგები

	2022	2021
საინფორმაციო ტექნოლოგიები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა	377,145	367,247
წვრილი ტექნიკა	11,733	14,155
	388,878	381,402

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საყოფაცხოვრებო და ელექტრონული ტექნიკის საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ამონაგები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

ჯგუფს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
საინფორმაციო ტექნოლოგიები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(318,206)	(305,691)
სხვა	(9,885)	(9,326)
	(328,091)	(315,017)

7. სხვა შემოსავალი

	2022	2021
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	165	257
საიჯარო გადასახდელების პატიება*	-	1,031
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	-	419
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი**	-	249
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	-	215
სხვა, წმინდა	-	104
	165	2,275

(*) - ჯგუფმა 2021 წელს მიიღო გარკვეული ხასიათის შეღავათები მეიჯარეებისგან, რაც გამოწვეული იყო კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობით. აღნიშნული შეღავათი მოიცავდა 2021 წლის სახელშეკრულებო პირობების შესაბამისი გარკვეული საიჯარო გადახდების დათმობას.

(**) - სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს კოვიდ 19-ის პანდემიის დროს, სახელმწიფოს მიერ ჯგუფისთვის საშემოსავლო გადასახადის პატიებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 112-116-ე ნაწილების შესაბამისად.

8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(10,144)	(9,205)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(9,116)	(8,557)
მარკეტინგისა და პრომოუშენის ხარჯი	(5,674)	(4,111)
იჯარის ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(3,064)	(1,527)
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	(1,296)	(320)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(1,003)	(751)
მიწოდების ხარჯი	(577)	(1,007)
კომუნალური ხარჯი	(394)	(329)
რემონტისა და შენახვის ხარჯი	(137)	(78)
სხვა	(2,609)	(1,908)
	(34,014)	(27,793)

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(7,953)	(9,117)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი*	(985)	(485)
წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მიღებული ხარჯი, წმინდა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(599)	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(435)	(443)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(295)	(225)
საოფისე ხარჯი	(237)	(218)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	(174)	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(146)	(39)
მივლინების ხარჯი	(106)	-
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	(62)	(213)
სხვა	(1,301)	(884)
	(12,293)	(11,624)

(*) - კატეგორიაში „საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი“ 98,100 ლარი წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების დარიცხულ ხარჯს 2022 წლისთვის (2021 წელი: 110 ათასი ლარი).

10. ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	1,713	1,420
გახარჯვა	(1,240)	(1,028)
დარიცხვა	1,591	1,321
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,064	1,713

ჯგუფის მიერ რეალიზებულ საქონელს აქვს საქარხნო გარანტია, რომელსაც ანაზღაურებენ საქონლის მომწოდებლები.

11. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,403)	(1,774)
ბანკებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(677)	(131)
სხვა ფინანსური ხარჯები		
საბანკო გარანტიაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(309)	(263)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური შემოსავალი	494	622
საიჯარო ვალდებულებებზე და მიღებულ სესხებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობა	4,606	1,170
	2,711	(376)

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	მაღაზიების, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა	სულ
31.12.2020	6	3,434	3,127	1,139	6,990	910	15,606
შემოსვლა	-	341	1,055	404	1,210	135	3,145
გასვლა	-	(682)	(36)	(246)	(469)	(7)	(1,440)
31.12.2021	6	3,093	4,146	1,297	7,731	1,038	17,311
შემოსვლა	-	642	1,416	745	1,057	239	4,099
გასვლა	-	(617)	(283)	(616)	(188)	(1)	(1,705)
31.12.2022	6	3,118	5,279	1,426	8,600	1,276	19,705
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2020	-	(2,227)	(1,253)	(338)	(4,718)	(426)	(8,962)
შემოსვლა	-	(284)	(406)	(237)	(1,028)	(156)	(2,111)
გასვლა	-	342	12	93	392	1	840
31.12.2021	-	(2,169)	(1,647)	(482)	(5,354)	(581)	(10,233)
შემოსვლა	-	(326)	(572)	(272)	(1,079)	(147)	(2,396)
გასვლა	-	417	134	295	162	1	1,009
31.12.2022	-	(2,078)	(2,085)	(459)	(6,271)	(727)	(11,620)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.12.2021	6	924	2,499	815	2,377	457	7,078
31.12.2022	6	1,040	3,194	967	2,329	549	8,085

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 4,807 ათასი ლარი სრულადაა გაცვეთილი, თუმცა, კვლავ გამოიყენება ჯგუფის მიერ (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,519 ათასი ლარი).

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მეტრომარტის მიერ საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შპს მეტრომარტის ძირითადი საშუალებებით ჯამური საბალანსო ღირებულებით 936,124 ლარი (31.12.2021: 583,001 ლარი). დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ალტას მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან არსებული საკრედიტო ხელშეკრულებები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში ჯამური საბალანსო ღირებულებით 856 ათასი ლარი და 586 ათასი ლარი, შესაბამისად. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

13. იჯარა

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ფართები მაღაზიებისა და საწყობებისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში და ევროში. საიჯარო ხელშეკრულებების ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 6-15%-ს.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს, რომ გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლებას. იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, ჯგუფი ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება

1 იანვარი

შემოსვლა

შეფასების ცვლილება

ცვეთა

გასვლა

31 დეკემბერი

2022	2021
21,295	19,196
4,837	6,977
7,935	2,065
(7,141)	(6,815)
(396)	(128)
26,530	21,295

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულებები

1 იანვარი

შემოსვლა

შეფასების ცვლილება

საპროცენტო ხარჯი

გადახდის პატიება

საიჯარო გადასახდელი

მოგება საკუროსო სხვაობიდან

გასვლა

31 დეკემბერი

2022	2021
25,547	25,556
4,837	6,977
7,935	2,076
1,403	1,774
-	(1,031)
(9,578)	(8,459)
(2,661)	(1,151)
(442)	(195)
27,041	25,547

ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

14. მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან

ჯგუფს აქვს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება მაღაზიის ფართზე, როგორც მეიჯარეს. ხელშეკრულება წარმოადგენს ფინანსურ იჯარას ჯგუფისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი ქვეიჯარის ფართის ფლობასთან დაკავშირებით ყველა რისკს და სარგებელს გადასცემს მოიჯარეს. 2022 წელს შეიცვალა საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის ვადა, რის გამოც მოხდა წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მოთხოვნების შეფასების ცვლილება.

მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
31.12.2021	217	751
31.12.2022	38	-

წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი დაუდისკონტირებელი ფულადი ნაკადებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მომავალი გადასახდელები	31.12.2022	31.12.2021
1 წლამდე	42	288
1 დან 2 წლამდე	-	288
2 დან 3 წლამდე	-	288
3 დან 4 წლამდე	-	288
4 დან 5 წლამდე	-	-
სულ მისაღები არადისკონტირებული საიჯარო გადახდები	42	1,152
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(4)	(184)
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	38	968

15. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
საინფორმაციო ტექნოლოგიები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა	67,353	59,347
საქონელი გზაში*	9,201	13,579
სხვა	3,615	2,848
	80,169	75,774

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთან დაკავშირებითაც ჯგუფზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის საკუთრებაში არსებული მარაგებით, ჯამური ღირებულებით 6,093 ათასი ლარი (2021: ჯამური ღირებულებით 6,676 ათასი ლარი) და სამომავლო მარაგებით.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	9,551	9,789
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ*	970	406
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(998)	(936)
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	5,336	3,063
	14,859	12,322

(*) - საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები წარმოადგენს საბანკო განვადებით გაყიდული პროდუქციის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებს.

ჯგუფის მოთხოვნები ძირითადად შედგება ელექტრო-ტექნიკის რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

ჯგუფს ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ჯგუფი აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო.

ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით. ახალი მომხმარებლის მიღების წინ ჯგუფი აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები:			
ვადადაუმდგარი	3,627	1%	40
ვადაგადაცილება 0-30 დღე	469	6%	26
ვადაგადაცილება 31-90 დღე	14	7%	1
ვადაგადაცილება 91-180 დღე	54	33%	18
ვადაგადაცილება 181-360 დღე	74	50%	37
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	876	100%	876
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	5,114		998
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები*	5,407	0%	-
სულ ფინანსური აქტივები	10,521		998

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

(*) - ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ კომპანიების მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, რომელთა მიმართაც ჯგუფს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ჯამური ღირებულებით 17,767 ათასი ლარი. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგადახურვა წლის ბოლოს არ მომხდარა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადამდგარი	4,954	1%	53
ვადაგადაცილება 0-30 დღე	437	5%	23
ვადაგადაცილება 31-90 დღე	84	15%	12
ვადაგადაცილება 91-180 დღე	104	45%	46
ვადაგადაცილება 181-360 დღე	68	88%	60
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	792	94%	742
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	6,439		936
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები*	3,756	0%	-
სულ ფინანსური აქტივები	10,195		936

(*) - ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ კომპანიების მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, რომელთა მიმართაც ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ჯამური ღირებულებით 16,146 ათასი ლარი. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგადახურვა წლის ბოლოს არ მომხდარა.

ფინანსური მოთხოვნების სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-4-ე შენიშვნაში.

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	(936)	(723)
დარიცხვა	(62)	(213)
31 დეკემბერი	(998)	(936)

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფული ბანკში ლარში	10,584	20,683
ფული გზაში*	1,334	1,713
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	478	218
ფული ბანკში ევროში	353	45
ფული ბანკში დოლარში	188	17,200
	12,937	39,859

(*) - ფული გზაში წარმოადგენს თანხას, რომელიც გადმორიცხულია, თუმცა 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული ჯგუფის საბანკო ანგარიშზე.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	40,357	50,198
თანაშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები	3,250	3,410
სხვა ვალდებულებები	27	177
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	9,840	14,658
	53,474	68,443

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

19. მიღებული სესხები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული სესხები სრულად წარმოდგენილია საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხებით. მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 14.5%/13.5%-ით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მეტრომარტის მიერ საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შპს მეტრომარტის ძირითადი საშუალებებით, სასაქონლო მარაგებით, არამატერიალური აქტივებით, დებიტორული დავალიანებით (ჩამოთვლილი აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 31.12.2022 მდგომარეობით შეადგენს 936 ათას ლარს, 6,093 ათას ლარს, 52 ათას ლარსა და 913 ათას ლარს (31.12.2021 მდგომარეობით 583 ათას ლარს, 6,677 ათას ლარს, 66 ათას ლარსა და 984 ათას ლარს, შესაბამისად). ასევე, შპს მეტრომარტის სამომავლოდ შესაძენი მარაგებით, ძირითადი საშუალებებით და ყველა არსებული და სამომავლო დებიტორული მოთხოვნით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ საბანკო გარანტიებს 4,036 ათასი ლარის, 2,624 ათასი აშშ დოლარისა და 130 ათასი ევროს ეკვივალენტის ოდენობით (2021: 8,221 ათასი ლარის, 1,570 ათასი აშშ დოლარისა და 280 ათასი ევროს ეკვივალენტის ოდენობით).

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2022	2021
1 იანვარი	901	9,294
ფულადი ნაკადები:	1,230	(8,505)
არაფულადი ნაკადები:		
პროცენტის დარიცხვა	677	131
გადაფასება	(1,945)	(19)
31 დეკემბერი	863	901

20. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები შეადგენს 20 ათას ლარს და 1,259 ათას ლარს, შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები შეადგენს 51 ათას ლარს და 3,166 ათას ლარს, შესაბამისად.

საგადასახადო ვალდებულების ნაშთის ძირითად ნაწილს წარმოადგენს გადასახდელი დღგ-ს ვალდებულება.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ამონაგები		
დამფუძნებელი	53	48
სხვა*	514	286
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები		
სხვა*	-	(102)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
დამფუძნებელი	(128)	(61)
სხვა*	-	(19)
ცვლილებები საგარანტიო ანარიცხებში		
სხვა*	-	(1,028)
უმაღლესი ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება		
მოკლევადიანი ანაზღაურება	(2,194)	(4,182)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სხვა*	259	960
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
დამფუძნებელი	1,225	1,332
სხვა*	-	7
უმაღლესი ხელმძღვანელობა	122	200

(*) - წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას.

22. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

2017 წლის 1 იანვრიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჯგუფის მიერ დაგროვილი მოგების სრულად განაწილების შემთხვევაში მომავალში გადასახდელი მოგების გადასახადი იქნება 3,924 ათასი ლარი და 3,903 ათასი ლარი.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

გარანტიები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ საბანკო გარანტიებს 4,036 ათასი ლარის, 2,624 ათასი აშშ დოლარისა და 130 ათასი ევროს ეკვივალენტის ოდენობით (2021: 8,221 ათასი ლარის, 1,570 ათასი აშშ დოლარისა და 280 ათასი ევროს ეკვივალენტის ოდენობით).

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ჯგუფს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის ჯგუფს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდების განაწილება

2023 წელს კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი 9,036 ათასი ლარის ოდენობით და დაერიცხა შესაბამისი მოგების გადასახადი 772 ათასი ლარის ოდენობით.

სასამართლო დავები

2023 წლის 24 თებერვალს დაიწყო სასამართლო დავა შპს "მეტრომარტსა" და შპს "CBD Development"-ს შორის. დავის საგანს წარმოადგენს მეტრომარტის მიერ CBD Development-ისგან აღებული საიჯარო ხელშეკრულება. საიჯარო სივრცის მისამართია: ქალაქ თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა No2ა, საკადასტრო კოდი No01.19.19.009.041. ბლოკი: D, შენობა: No2, ფართი No EL4.

2023 წლის 16 თებერვალს CBD Development-მა იჯარის ხელშეკრულებაში არსებული მუხლის მეშვეობით ცალმხრივად და 6 თვის გაფრთხილებით იჯარის გამოყენების უფლება გაუუქმა მეტრომარტს და განახორცილა მეტრომარტის ბიზნესის შეფერხების მცდელობები (ელექტროენერგიის გათიშვა და ობიექტის შესასვლელის გარშემო ღობის დამონტაჟება). შპს მეტრომარტმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინა სარჩელი CBD Development -ის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც მეტრომარტმა მოითხოვა ოპერირების ხელშეშლის აღკვეთა მეიჯარის მხრიდან. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად CBD Development-ს მოუწია შეეწყვიტა ამგვარი ქმედებები.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საიჯარო გადასახდელების ვადაგადაცილებების გამო, ასევე ვინაიდან შპს მეტრომარტი CBD Development-ს არ აძლევს საშუალებას ობიექტში ახალი მოიჯარე შეიყვანოს CBD Development ითხოვს მიუღებელი ანაზღაურებების ზარალის ანაზღაურებას 624,011 აშშ დოლარის და 72,258 აშშ დოლარის ოდენობით. მეორე მხრივ, მეტრომარტი ითხოვს ოპერაციების ხელშეშლის მცდელობებისგან გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას 339,827 ლარის ღირებულებით.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნულ დავაში მეტრომარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მაღალი შანსია, რადგან CBD Development-თან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების პუნქტი, რომელიც იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას გულისხმობს, არაკანონიერია, რადგან უმიზეზოდ და ხელშეკრულების პირობების დარღვევის გარეშე ცალ მხარეს არ უნდა შეეძლოს ამგვარი ხელშეკრულების გაწყვეტა. აღნიშნული დავა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, რომლიდანაც ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის გასვლას.

24. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

24. მნიშვნელოვანი საარღივხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ საწარმოზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს მშობელი კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგი შეფასების კატეგორიებით: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საღაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებად ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (ი) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ივარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ელექტრო-ტექნიკის და დაკავშირებული აქსესუარების რეალიზაცია. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს - მის ტერიტორიაზე პროდუქციის მიწოდებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის თხოვნით ხდება შეძენილი საქონლის შენახვა და მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონელი არ არის იდენტიფიცირებადი, ამ დროს კომპანია მომხმარებელს ურეზერვებს ხელშეკრულების შესაბამისი საქონლის გარკვეულ რაოდენობას, სანამ მომხმარებელი გაიტანს შენაძენს. ამ დროს კონტროლი გადაცემულად არ ითვლება. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი რჩება საწარმოს ფიზიკურ მფლობელობაში საწარმოს მიზეზით, რადგან ვერ მიაწოდა მომხმარებელს პროდუქცია, ამ შემთხვევაში კონტროლი არ ითვლება გადაცემულად, რადგან საწარმოს არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

ასეთ შემთხვევაში როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას. ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის პროცესში ახორციელებს სასაჩუქრე ბარათების გაყიდვას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს ავანსად უზდიან მომავალში გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის და, შესაბამისად, ჯგუფი ამ შემოსავალს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, ან მომსახურებას გადასცემს.

ჯგუფის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქციაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის ჯგუფი აღიარებს:

- ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც ჯგუფი მოელის;
- ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას; და
- აქტივის თავის უფლებასთან დაკავშირებით, მომხმარებლისგან მიიღოს ის პროდუქცია, რომელთა ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას დააკმაყოფილებს ჯგუფი;

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებით ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. ჯგუფის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

საგარანტიო ვალდებულება

ჯგუფი საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. ჯგუფი საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში დასაკამფოვებელი მოვალეობის შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის. შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ფაქტიური საგარანტიო ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ანარიცხის შეფასებული თანხისგან. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის საგარანტიო ანარიცხი გაანგარიშდება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ექსპორტზე გატანილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, 0.6%-ის ოდენობით (31.12.2021: 0.5%). ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე ექსპორტზე გატანილ საქონელზე ჯგუფს არ წარმოეკმნება საგარანტიო მომსახურების გაწევის არც იურიდიული და არც კონსტრუქციული ვალდებულება. ჯგუფი რეალიზებულ საქონელზე გარანტიას გასცემს რეალიზაციის შემდეგ 2 წლის პერიოდზე, რასთან დაკავშირებითაც აღიარებული აქვს საგარანტიო ანარიცხი. გაყიდული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს საქარხნო 2 წლიანი გარანტია. მომწოდებლების მიმართ საგარანტიო მოთხოვნა წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული. ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისა და შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზს. შედეგად, ერთ და იმავე კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვედება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-30
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5 - 12
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5 - 10

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და სადისტრიბუციო ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა.

აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, წარდება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 5 – 7 წლის მანძილზე.

ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს, სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგები გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით (პირველი შემოსავალი – პირველი გასავალი). მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფმა აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღრიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულის უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

24. მნიშვნელოვანი საარიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

მოთხოვნები წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან

ჯგუფს აქვს ქვეიჯარის ოპერაციები, რომლის ფარგლებშიც საიჯარო აქტივი ჯგუფის მიერ („შუალედური მეიჯარე“) ხელახლა გაიცემა იჯარით მესამე მხარეზე. ქვეიჯარის პერიოდი უტოლდება ძირითადი იჯარის აქტივის მთელ დარჩენილ ეკონომიკური მომსახურების პერიოდს.

ჯგუფი წმინდა საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად იყენებს იჯარაში ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს. ქვეიჯარის შემთხვევაში, თუ ქვეიჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, ჯგუფი, როგორც შუალედური მეიჯარე, ძირითადი იჯარის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთს იყენებს ქვეიჯარის ნეტო საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომლებიც მწარმოებელმა ან დილერმა მეიჯარეებმა გასწიეს, ჩაირთვება წმინდა საიჯარო ინვესტიციის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებულ შემოსავლის ოდენობას. იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი იმგვარად განისაზღვრება, რომ თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ავტომატურად აისახება წმინდა საიჯარო ინვესტიციაში და საჭირო აღარ არის მათი ცალკე დამატება.

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ ჯგუფი შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

24. მნიშვნელოვანი საარიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქცეობს კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებართვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ეჭვს აღარ იწვევს, მოცემული აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა აღნიშნული ცვლილება.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

მაღალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოიქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.

იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება:

- ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების);
- ბ) კანონმდებლობის; ან
- გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, ჯგუფის პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით ჯგუფმა სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალდებულებებს; და

ბ) შედეგად ჯგუფმა შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს ალტა და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია	4
2. ჯგუფის საქმიანობა.....	6
3. დასაქმება	7
4. ჯგუფის განვითარების გეგმები.....	8
5. ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	8
6. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	8
7. მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია	8
8. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები	9

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს ალტას აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 1 ოქტომბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2023 წელი

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს ალტას აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 1 ოქტომბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2023 წელი



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალტა (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1998 წელს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., №104, ფართი №12

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2022
შპს დაგეტა კაპიტალი	47.50%	47.50%
თეა კაკაბაძე	29.36%	29.0579%
ნანა კასრელიშვილი	7.39%	7.3863%
ლევან ნიკოლაიშვილი	5.35%	5.3494%
დავით სოფრომაძე	2.40%	2.40%
კახა ჭოველიძე	3.00%	3.00%
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	1.61%	1.6137%
ზურაბ ტაბიძე	2.00%	2.00%
ნინო ქანთარია	0.50%	0.70%
გია ზაზაშვილი	0.29%	0.2927%
ანა დათაშვილი	0.30%	0.30%
ინგა ზურაბიანი	0.20%	0.20%
ნინო ფირცხალავა	0.10%	0.20%

შპს ალტას შვილობილი და მეკავშირე საწარმოები წარმოდგენილია შემდეგნაირად:


კომპანიის დასახელება	მთავარი საქმიანობა	დაარსების / კონტროლის მოპოვების წელი	31.12.2021	31.12.2022
შპს ალტა რითეილი (ს.კ. 402033312)	სამომხმარებლო ელექტრონიკით სავაჭრო	2016	100%	100%
შპს მეტრომარტ (ს.კ.401975662)	სამომხმარებლო ელექტრონიკით სავაჭრო	2018	50%	50%
შპს ტექპოინტი (ს.კ.402085104)	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	2018	100%	100%
შპს ალტა ტექნოლოჯის (ს.კ.402091703)	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	2018	100%	100%
შპს სერვის პლაზა (ს.კ. 401983430)	საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტი	2022	0%	100%

ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი საქმიანობა არის სამომხმარებლო ელექტრონიკით სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობა. ჯგუფი საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციის, აქსესუარებისა და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

კომპანიაში ფუნქციონირებს დირექტორთა საბჭო, რომელშიც შედიან:



ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ

2022 წელს შპს ალტა რითეილის ქსელი წარმოდგენილი იყო საქართველოს მასშტაბით 7 ქალაქში 15 მაღაზიითა და ინტერნეტ მაღაზიით:

- მაღაზია ქვეთარამეზე - ქ.თბილისი, პეტრე ქვეთარამის ქ.1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- საბურთალოს მაღაზია - ქ.თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 5
- მაღაზია თბილისი მოლში - ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ, სავაჭრო ცენტრი "თბილისი მოლი", I სართული
- მაღაზია ისთ ფოინთში - ქ.თბილისი, თვალჭრელიძის 2, სავაჭრო და გასართობი ცენტრი "ისტ ფოინთი", I სართული
- მაღაზია გლდანში - ქ.თბილისი, ხიზაბავრის ქ. 1, სავაჭრო ცენტრი "სითი მოლი"
- მაღაზია თბილისი ცენტრალში - ქ.თბილისი, სადგურის მოედანი 2, სავაჭრო ცენტრი "თბილისი ცენტრალი", I სართული
- მაღაზია ჰუალინგ პლაზაში - ქ.თბილისი, ჯ.ლეჟავას ქ.22
- მაღაზია ვაკეში - ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 37მ, სავაჭრო ცენტრი „აქსის თაუერსი“
- მაღაზია რუსთავეში - ქ.რუსთავე, შარტავას გამზირი 2გ
- მაღაზია ქუთაისში - ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. 4, სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა"
- მაღაზია ქუთაისში - ქ.ქუთაისი, ჟიული შარტავას ქ.2, სავაჭრო ცენტრი „ვესთ ფოინთი“
- მაღაზია თელავში - ქ.თელავი, ალაზნის გამზირი 77
- მაღაზია ბათუმში - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.31
- მაღაზია ზუგდიდში - ქ.ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ.28, სავაჭრო ცენტრი „ზუგდიდი მოლი“
- მაღაზია გორში - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 5ბ.

ინტერნეტ მაღაზია- www.alta.ge



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება


2022 წელი (ათას ლარში)

შპს მეტრომარტი 2022 წელს წარმოდგენილი იყო საქართველოს 4 ქალაქში, 5 მაღაზიით და ინტერნეტ მაღაზიით:

1. თბილისი ცენტრალი - ქ. თბილისი, სადგურის მოედანი N 2
2. ისთ-ფონთი - ქ. თბილისი ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. N2
3. ქუთაისი - ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის გამზირი N61
4. ბათუმი - ქ. ბათუმი ჭავჭავაძის გამზირი N131
5. რუსთავი - ქ. რუსთავი მეგობრობის გამზ. 1ა, რუსთავი მოლი
6. ინტერნეტ მაღაზია - www.metromart.ge

2. ჯგუფის საკმეიანობა

შპს „ალტა“, საქართველოში ელექტრო ტექნიკის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია, ის ახორციელებს გაყიდვებს შემდეგ არხებში:



ჯგუფის პროდუქცია იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- მობილური ტექნიკა - სმარტ ტელეფონები, სმარტ საათები და მათი აქსესუარები.
- კომპიუტერული ტექნიკა - ნოუტბუქები, მონიტორები, პერსონალური კომპიუტერები, პლანშეტები, პერსონალური კომპიუტერების პერიფერული მოწყობილობები და მათი აქსესუარები.
- აუდიო ვიდეო ტექნიკა - ციფრული კამერები, ტელევიზორები, აუდიო სისტემები, სათამაშო კონსოლები და მათი აქსესუარები.
- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა - კონდიციონერები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, გაზქურები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, ღუმელები, გამწოვები და სხვა
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ელექტრო ქვაბები, ყავის აპარატები, მიქსერები, პურის საცხობები, მიკროტალღური ღუმელები, თმის ფენები, უთოები, წვესაწურები, ელექტრო ჩაიდნები, ბლენდერები, მტვერსასრუტები, და ა.შ.



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

ჯგუფი თავის საბოლოო მომხმარებლებს სთავაზობს მსოფლიოში ისეთი წამყვანი ბრენდების ოფიციალურ ტექნიკას ოფიციალური გარანტიით, როგორებიცაა:

☐ Samsung	☐ Canon	☐ HP
☐ Apple	☐ Kingston	☐ Viewsonic
☐ Huawei	☐ APC	☐ Microsoft
☐ Lenovo	☐ Hotpoint	☐ LG
☐ Sony	☐ Trevi	☐ Hoco
☐ Asus	☐ Fujitsu	☐ ColorView
☐ TCL	☐ Intel	☐ Trevi
☐ Xiaomi	☐ Seagate	☐ OZ
☐ Indesit	☐ Redmond	☐ House of Marley
☐ Panasonic	☐ Whirlpool	☐ Logitech
☐ Thermaltake	☐ Genius	☐ Beats
		☐ და სხვა

კომპანია მუდმივად ახდენს, შვილობილ კომპანიებში პერსონალის სწავლებას წამყვანი ბრენდების წარმომადგენლების მიერ, რათა მოხდეს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელმა შეძლოს კომპეტენტური კონსულტაციის მიღება, ასევე მუდმივად ხდება პროდუქციის განახლება და მომხმარებელს ალტას შვილობილ კომპანიებში იმავე დღიდან შეუძლიათ შეიძინონ „ფლაგმანები“, როცა მსოფლიოში ოფიციალური გაყიდვები იწყება.

3. დასაქმება

თანამშრომელთა შერჩევა წარმოებს მკაცრად განსაზღვრული პროფესიული კრიტერიუმების მიხედვით და არ არის დაშვებული რაიმე ნიშნის მიხედვით მათი დისკრიმინაცია.

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება შედგება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული ხელფასისა და გამომუშავებული ბონუსისგან.

ჯგუფის კომპანიები უზრუნველყოფენ თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევას.

ჯგუფის კომპანიები ზრუნავენ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მათი პროფესიული განვითარების მიზნით.

თანამშრომელთა რაოდენობა 2022 წლის მდგომარეობით:

კომპანია	სულ	ქალი	კაცი
ალტა	230	104	126
		45.2%	54.8%
ალტა რითეილი	305	134	171
		43.9%	56.1%
მეტრომარტი	113	57	56
		50.4%	49.6%
სერვის პლაზა	59	24	35
		40.7%	59.3%
ალტა ტექნოლოჯის	4	2	2
		50.0%	50.0%



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

- კომპანია გეგმავს შვილობილი კომპანიების ქსელის გაფართოებას.
- დაგეგმილია დამატებითი მაღაზიების გახსნა ალტა რითეილსა და მეტრომარტში.
- კომპანიამ შეცვალა მომარაგების სისტემა და შვილობილი კომპანიები მოაქცია ერთიან შიდა ლოჯისტიკურ სქემაში, რაც ჯგუფს საშუალებას მისცემს უკეთესად მართოს საკუთარი მარაგები, მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია, ასევე დაგეგმილია მიწოდების ოპტიმალური სქემის გაუმჯობესება.
- კომპანიის მიზანი არის საბოლოო მომხმარებლის კმაყოფილება არა მხოლოდ გაყიდვამდე პროცესში არამედ გაყიდვის შემდგომაც, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა გააუმჯობესოს სერვისის ცენტრის მიმღებები რათა გახდეს შუამავალი მომხმარებელსა და სერვისის გამწვევ კომპანიებს შორის, რათა უკეთესად შეძლოს საკუთარი მომხმარებლის უფლებების დაცვა.
- კომპანიის მიზანია მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოს შექმნა.
- დაგეგმილია შვილობილ კომპანიებში ERP და BI სისტემების დანერგვა და გაუმჯობესება, რაც შვილობილ კომპანიებს საშუალებას მისცემს ეფექტურად მართონ საკუთარი რესურსები და გაზარდონ უკუგება.
- ჯგუფში დაგეგმილია ავტომატიზაციის პროცესების გაუმჯობესება.
- დაგეგმილია საბაზრო წილის ზრდა.

თავისი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მოიცავს არსებით რისკებს, როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში. არსებობს რისკი, რომ წინასწარი გათვლები, პროგნოზები და სხვა სახის მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ყოველთვის ვერ იქნება შესრულებული. შესაბამისად, დაინტერესებული პირი არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნოს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს და უნდა გაიაზრონ განსაკუთრებით ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო გარემო, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს.

5. ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 და 2022 წლებში ადგილი არ ქონია აქციების შეძენას ჯგუფის კომპანიების მიერ.

6. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2021 და 2022 წლების განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

7. მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია

შპს ალტას სავაჭრო პროდუქტი 99 % იმპორტირებულია, შესაბამისად ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკის ქვეყანაა. მიუხედავად დეფიციტის ბოლოდროინდელი შემცირებისა, იგი კვლავ მაღალია და ქვეყანა საგარეო წყაროებზე დამოკიდებული რჩება. შესაბამისად, მაღალია საქართველოს ეკონომიკის მგრძნობიარეობა გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ზრდის შოკებისა და გლობალური ფინანსური პირობების ცვლილებების მიმართ. გარდა ამისა, საქართველოში ფინანსური სისტემის დოლარიზაცია ჯერ კიდევ მაღალია, რაც ამ შოკების ეფექტს ამწვავებს.

სავალუტო რისკი ტექნიკის ბაზრის ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ტექნიკის ბაზარი ხასიათდება მაღალი კონკურენციით, კომპანია ყველა მსხვილ იმპორტიორ კომპანიას განიხილავს კონკურენტად, განსაკუთრებით აღსანიშნავია პარალელური იმპორტით მოვაჭრე კომპანიები.

ჯგუფის ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

8. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის 2021 და 2022 წლების ფინანსური მონაცემები:

	2021	2022
შემოსავალი	381,402	388,878
საოპერაციო მოგება	27,922	14,645
მთლიანი სრული შემოსავალი	28,346	17,232
სულ აქტივები	157,531	142,787
სულ კაპიტალი	57,760	58,086

ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტები 2021 და 2020 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2022
1 მიმდინარე ლიკვიდობა	1.55	1.65
2 სწრაფი ლიკვიდობა	0.63	0.43
3 ROE (ამონაგები კაპიტალზე)	57.0%	29.7%
4 ROA (ამონაგები აქტივებზე)	20.9%	11.5%
5 მარაგების ბრუნვა (დღე)	72	87
6 დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	12	14
7 კრედიტორული დავალიანების დაფრვის პერიოდი (დღე)	59	67

კოეფიციენტების დაანგარიშების წესისთვის, ასევე გადახრების შესაბამისი ახსნებისთვის იხილეთ ქვემოთ:

მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები განსაზღვრავენ რა დონის მიმდინარე აქტივები გააჩნია ჯგუფს მოკლევადიანი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის კოეფიციენტები პოტენციური ინვესტირების და კრედიტორების, ასევე ჯგუფის მფლობელებისა და ხელმძღვანელობისთვის პირველხარისხოვან ინტერესს წარმოადგენენ.

მიმდინარე ლიკვიდობა დაიანგარშება მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან.

სწრაფი ლიკვიდობა დაიანგარშება მარაგების გამოკლებით მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, იგივე უკუგება საკუთარ კაპიტალზე (*return on equity - ROE*), რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: უკუგება საკუთარ კაპიტალზე ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან.

უკუგება აქტივებზე (*Return on assets- ROA*)-ტოლია წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო აქტივებთან.

2022 წელს ROE-სა და ROA-ს მაჩვენებლები შემცირებულია.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი- გვიჩვენებს რამდენად ეფექტურად მოძრაობს მარაგები ჯგუფის. ეს კოეფიციენტი ადგენს რამდენ ხანში აღადგენს ჯგუფი საშუალო მარაგს წელიწადში. ჯგუფის შემთხვევაში ეს კოეფიციენტი გაზრდილია.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება/მარაგების საშუალო ღირებულება)

დებიტორული დავალიანების ბრუნვა- გვიჩვენებს რამდენ დღე სჭირდება საშუალოდ რეალიზაციის კონვერტირებას ფულში. დებიტორული დავალიანების ბრუნვა გაზრდილია.

დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი დაითვლება შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(ამონაგები/სავაჭრო მოთხოვნების საშუალო ღირებულება)

შ.პ.ს. ალტა - Ltd ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliaashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

კრედიტორული დავალიანების ბრუნვა- გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება საშუალოდ სავაჭრო დავალიანების დაფარვას. კრედიტორული დავალიანების ბრუნვა გაზრდილია.

კრედიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება/სავაჭრო ვალდებულებების საშუალო ღირებულება).

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური კოეფიციენტების ნაწილში არ იდენტიფიცირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა წინა წელთან შედარებით, რასაც შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე მომავალში.

ჯგუფი სტაბილურად ინარჩუნებს კოეფიციენტებს მისთვის მისაღებ დონეზე.

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კ. ჭოველიძე

ფინანსური დირექტორი

ლ. დევდარიანი

შ.პ.ს. ალტა - Ltd ALTA – 211380691

ბელიაშვილის ქ. 104

0159 თბილისი, საქართველო

104, Beliashvili Str.

0159 Tbilisi, Georgia

T +995 32 2510111

info@alta.com.ge

www.alta.ge



კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი (ათას ლარში)

კრედიტორული დავალიანების ბრუნვა - გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება საშუალოდ სავაჭრო დავალიანების დაფარვას. კრედიტორული დავალიანების ბრუნვა გაზრდილია.

კრედიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგნაირად - ბრუნვის მთლიანი დღეები/(რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება/სავაჭრო ვალდებულებების საშუალო ღირებულება).

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური კოეფიციენტების ნაწილში არ იდენტიფიცირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა წინა წელთან შედარებით, რასაც შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე მომავალში.

ჯგუფი სტაბილურად ინარჩუნებს კოეფიციენტებს მისთვის მისაღებ დონეზე.

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კ. ჯოველიძე

ფინანსური დირექტორი

ლ. დევდარიანი